არფინანსური აქტივების ზრდა	4.9	8.8	0.0	8.8	7.9	0.0	7.9	
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	

ლოკუმენტი

სობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის აღბილობრივი ბიუჯეტი

01	სობის მუნიციპალიტეტის მერია	1970.0	2123.0	0.0	2123.0	2155.8	0.0	2155.8
01 01	მიმუშავეთა რიცხოვნობა	127.0	128.0		128.0	131.0		131.0
	ხარჯები	1894.5	2091.6	0.0	2091.6	2128.3	0.0	2128.3
	შრომის ანაზღაურება	1434.3	1455.6	0.0	1455.6	1490.4	0.0	1490.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	755	314	0.0	314	275	0.0	275
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 01 03	ქვეყნის თვალდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	129.8	121.9	0.0	121.9	121.4	0.0	121.4
	მიმუშავეთა რიცხოვნობა	8.0	8.0		8.0	8.0		8.0
	ხარჯები	129.8	119.5	0.0	119.5	119.0	0.0	119.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	2.4	0.0	2.4	2.4	0.0	2.4
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	221.8	167.7	0.0	167.7	187.0	0.0	187.0
	მიმუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	42.6	50.6	0.0	50.6	127.0	0.0	127.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	179.2	117.1	0.0	117.1	60.0	0.0	60.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0.0	14.8	0.0	14.8	90.0	0.0	90.0
	მიმუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0		0.0	0.0		0.0
	ხარჯები	0.0	14.8	0.0	14.8	90.0	0.0	90.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	221.8	152.9	0.0	152.9	97.0	0.0	97.0
	მიმუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0		0.0	0.0		0.0
	ხარჯები	42.6	35.8	0.0	35.8	37.0	0.0	37.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	179.2	117.1	0.0	117.1	60.0	0.0	60.0

01 03	საგანგებო მდგომარეობათა და კაპიტალური ღონისძიებები	0.0	34.0	0.0	34.0	0.0	0.0	0.0
	მიმუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0		0.0	0.0		0.0
	ხარჯები	0.0	34.0	0.0	34.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	9744.9	10948.1	6791.1	4157.0	2156.6	0.0	2156.6
	მიმუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	1553.9	1513.9	168.0	1345.9	926.4	0.0	926.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8191.0	9434.2	6623.1	2811.1	1230.2	0.0	1230.2
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა (გზები და ხიდები)	5354.0	5446.8	4383.7	1063.1	828.0	0.0	828.0
	მიმუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	97.1	399.3	0.0	399.3	311.4	0.0	311.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5256.9	5047.5	4383.7	663.8	516.6	0.0	516.6
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 01 01	გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	4173.6	5301.5	4295.1	1006.4	798.0	0.0	798.0
	მიმუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0		0.0	0.0		0.0
	ხარჯები	97.1	399.3	0.0	399.3	311.4	0.0	311.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4076.5	4902.2	4295.1	607.1	486.6	0.0	486.6
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 01 02	ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	1180.4	145.3	88.6	56.7	30.0	0.0	30.0
	მიმუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0		0.0	0.0		0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1180.4	145.3	88.6	56.7	30.0	0.0	30.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3005.9	4224.3	1563.4	2660.9	998.6	0.0	998.6
	მიმუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	1144.0	916.6	0.0	916.6	585.0	0.0	585.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1861.9	3307.7	1563.4	1744.3	413.6	0.0	413.6
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

02 02 01	გარე განათება	295.2	324.2	0.0	324.2	335.4	0.0	335.4
	მიმუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0		0.0	0.0		0.0
	ხარჯები	295.2	324.2	0.0	324.2	335.4	0.0	335.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02 02	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	187.2	78.8	0.0	78.8	34.0	0.0	34.0
	მიმუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0		0.0	0.0		0.0
	ხარჯები	1.0	9.0	0.0	9.0	9.0	0.0	9.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	186.2	69.8	0.0	69.8	25.0	0.0	25.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია	1413.7	3328.3	1563.4	1764.9	368.6	0.0	368.6
	მიმუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0		0.0	0.0		0.0
	ხარჯები	182.0	108.5	0.0	108.5	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1231.7	3219.8	1563.4	1656.4	368.6	0.0	368.6
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02 04	სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	909.2	72.4	0.0	72.4	50.0	0.0	50.0
	მიმუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0		0.0	0.0		0.0
	ხარჯები	465.2	54.3	0.0	54.3	30.0	0.0	30.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	444.0	18.1	0.0	18.1	20.0	0.0	20.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02 06	მუნიციპალიტეტის წყლმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია	200.6	420.6	0.0	420.6	210.6	0.0	210.6
	მიმუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0		0.0	0.0		0.0
	ხარჯები	200.6	420.6	0.0	420.6	210.6	0.0	210.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ლოკუმენტი

სიბის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

10

02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	721.0	844.0	784.0	60.0	0.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	265.2	168.0	168.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	455.8	676.0	616.0	60.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 05	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია	354.3	65.0	60.0	5.0	0.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	354.3	65.0	60.0	5.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 06	რეგიონში განხორციელებული პროექტების თანადაფინანსება	279.7	338.0	0.0	338.0	300.0	0.0	300.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	17.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	262.1	338.0	0.0	338.0	300.0	0.0	300.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 07	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	30.0	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	30.0	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	481.8	698.5	0.0	698.5	564.9	0.0	564.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	481.8	698.0	0.0	698.0	564.9	0.0	564.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	481.8	698.5	0.0	698.5	564.9	0.0	564.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	481.8	698.0	0.0	698.0	564.9	0.0	564.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

04 00	განათლება	2700.5	2624.3	860.5	1763.8	2024.6	0.0	2024.6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	2047.6	1951.4	320.5	1630.9	2024.6	0.0	2024.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	652.9	672.9	540.0	132.9	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 01	სკოლაშენი	1482.0	1704.5	0.0	1704.5	2004.6	0.0	2004.6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	1436.0	1610.3	0.0	1610.3	2004.6	0.0	2004.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	46.0	94.2	0.0	94.2	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 05	საჯარო სკოლების დაფინანსება	1218.5	919.8	860.5	59.3	20.0	0.0	20.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	611.6	341.1	320.5	20.6	20.0	0.0	20.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	606.9	578.7	540.0	38.7	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1238.8	1341.8	0.0	1341.8	1433.2	0.0	1433.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	1180.5	1274.4	0.0	1274.4	1405.7	0.0	1405.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	58.3	67.4	0.0	67.4	27.5	0.0	27.5
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	209.5	231.2	0.0	231.2	255.4	0.0	255.4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	200.4	228.2	0.0	228.2	255.4	0.0	255.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9.1	3.0	0.0	3.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	9.3	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	9.3	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

05 01 02	სიბის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი-ს“ ხელშეწყობის ღონისძიებები	184.8	203.2	0.0	203.2	227.4	0.0	227.4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	175.7	200.2	0.0	200.2	227.4	0.0	227.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9.1	3.0	0.0	3.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 01 03	სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები	15.4	18.0	0.0	18.0	18.0	0.0	18.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	15.4	18.0	0.0	18.0	18.0	0.0	18.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	28.3	53.0	0.0	53.0	53.0	0.0	53.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	28.3	53.0	0.0	53.0	53.0	0.0	53.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 02	მეგობრობის ხარჯები	28.3	53.0	0.0	53.0	53.0	0.0	53.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	28.3	53.0	0.0	53.0	53.0	0.0	53.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	1.2	5.5	0.0	5.5	5.5	0.0	5.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	1.2	5.5	0.0	5.5	5.5	0.0	5.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	6.9	9.0	0.0	9.0	9.0	0.0	9.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	6.9	9.0	0.0	9.0	9.0	0.0	9.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ლოკუმენტი

ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

Table with 8 columns: Code, Description, and 6 numerical values. Rows include categories like 'კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა' and 'სოციალური უზრუნველყოფა'.

Table with 8 columns: Code, Description, and 6 numerical values. Rows include categories like 'საინტელექტუალური მომსახურება (ომის მკვლევარების და რეგულირების ღონისძიებები)' and 'საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა'.

Table with 8 columns: Code, Description, and 6 numerical values. Rows include categories like 'უმწიკრო კატეგორიაზე სახმელეთის წყლის სარგის ანაზღაურება' and 'უმწიკრო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა'.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2020 წლის 29 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ელიშბერ ჯობავა, საკრებულოს თავმჯდომარე

წყალი-აუცილებელი და მნიშვნელოვანი

წყალი, რომ ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საარსებო საშუალება გახლავთ, ყველამ კარგად ვიცით. სობის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მაგისტრალური წყალი და წყალსადენი დღემდე არ არსებობს. უმეტესობა ჭაზუა დამოკიდებული. არადა ბევრგან ისიც დაშრა. ამიტომაც გასათვალისწინებელია მაგისტრალური წყალი ყველგან რომ იყოს. ამას მეტი ყურადღება და მნიშვნელობა უნდა მიექცეს.

თუ რამდენ ადმინისტრაციულ ერთეულსა და მის სოფლებს ემსახურება შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სობის სერვისცენტრი“, როდის და რა პერიოდულობით იქლორება წყალსადენი, რამდენ სოფელს ემსახურება, როგორი იყო გასული, პანდემიის წელი და რა არის №1 ამოცანა მათთვის სამომავლოდ, გვესაუბრება შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სობის სერვისცენტრის მენეჯერი შალვა პაპაბაძე.

პირველ რიგში დიდი მადლობა მოლოცვისა და ჩვენი საქმიანობით დაინტერესებისთვის. რაც შეეხება სერვის ცენტრში არსებულ მდგომარეობას, გასულ წელს იყო ბევრი გამოწვევა, იყო პრობლემები, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ გაკეთდა არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

წყალი 24 საათიანი რეჟიმით მიეწოდება, რასაც უზრუნველყოფს ორი სათავე ნაგებობა (ნოჯიხევის და სობის სათავე), საიდანაც ხდება წყლის სანიტარულ-ჰიგიენური დამუშავება (დაქლორვა). სასმელი წყლის ხარისხის ლაბორატორიული შემოწმება ხდება ყოველდღიურად, ხოლო თვეში ერთხელ წყალი შესამოწმებლად იგზავნება თბილისის ლაბორატორიაში. ყოველწლიურად შემკრებ რეზერუარებს უტარდება გემშიური სანიტარული რეცხვა-დეზინფექცია.



სობის სათავე ნაგებობა რეაბილიტირებულია, რითაც მოგვარდა ბევრი პრობლემა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოფლებში ჯერ კიდევ რჩება ამორტიზირებული ცენტრალური მიწები, რომლებიც საჭიროებენ შეცვლას, რაზედაც მიმდინარეობს მუშაობა.

2020 წელს ეტაპობრივად ჩატარდა სამუშაოები, რათა მაქსიმალურად მოგვარებულიყო წყლის დანაკარგების პრობლემა, რისთვისაც სობის სერვის ცენტრის ტექნიკური ჯგუფი დაულაღვავა აწარმოებდა სამუშაოებს, განხორციელდა მოსახლეობის გამრიცხველიანება, რითაც მნიშვნელოვნად შემცირდა აღურიცხავი წყლის რაოდენობა.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, სერვის ცენტრის სამომავლო გეგმები სწორედ ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებაა. მათ შორის სოფლებში უწყლოდ დარჩენილი მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა. მაგალითად სოფელ პირველ მაისში მხოლოდ 16 ოჯახს მიეწოდება წყალი, რაც თვისთავად პრობლემაა. თუმცა კომპანიის ძალებით მოხერხდა პირველი მაისის ბაღის და სკოლის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა.

საუბარი ჩაიწერა ნანი კილასონიამ.

2019 წლიდან მოსახლეობას

იცოდე შენი სოფლის ისტორია

ნოჯიხევი მდებარეობს ოდიშის დაბლობზე, მდინარე სობის მარცხენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 30 მ-ზე. მისი ადგილობრივი მეგრული სახელწოდება არის „ნოჯიხი“ რაც ნაცისხარს ნიშნავს, ჯიხა ქართულად ციხეა. დღეისათვის სოფელი ნაციხარიდან საკმაოდ დაშორებულია, ძველად იგი ციხის ირგვლივ უნდა ყოფილიყო განთავსებული, მე-19 საუკუნეში მიმდინარე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა სოფელი უფრო ქვევით, ვაკე ადგილებსაკენ გადაწია, მე-20 საუკუნეში კი მან მთლიანად რკინიგზის სადგურ სობის მიმართულებით გადაინაცვლა.

ალექსი კაჭარავა, იონე ვიქია, თათოზ სასანია, სტეფანე სახოკია, დიაკვანი მოსე ჯორბენაძე, მედიკოსი დავით ბოლქვაძე და ლუკა ჯორჯიკია.

ნოჯიხევი შედგება შემდეგი უბნებისაგან: ცენტრი, ზენი, კუთხე ნოჯიხევი, ნაფოშტუ, მონასტერი, რომელსაც ხანდახან მეორე ხობსაც უწოდებენ. 1998 წლის აღწერით ნოჯიხევი 186 გვარის 787 კომლი ცხოვრობს. 2002 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად ნოჯიხევის თემში 3103 სული ცხოვრობს. გავრცელებული გვარებია: ცხაღია,

ხანდაზმულთა გადმოცემით აფხაზეთში მიმავალ თამარ მეფეს ღამე ნოჯიხევი გაუთეგია, ისე მოსწონებია აქაურობა, რომ დაულოცავს და უკურთხებია, ამის შემდეგ თითქოს ამ სოფელს „კურთხეულ ნოჯიხევი“ ეძახდნენ. ბოლშევიკების გასვლის შემდეგ სიტყვა „კურთხეული“ „კუთხეთი“ შეიცვალა და სოფლის სახელწოდება „კუთხე ნოჯიხევი“ დაიკვიდრა. ამ ეკლესიასთან იცოცხდნენ ჯარბინობა, რომელსაც „ცააშხა კარობუას“ ეძახდნენ, აქვე აღნიშნავდნენ „ქენჯერობის“ დღესასწაულს, სამწუხაროდ არაფერ არ იცის ამ დღესასწაულების არსისა და აღნიშნულების შესახებ, აწ გარდაცვლილი ნოჯიხეველი ხუტა ვიქიას მოგონებით ნოჯიხევის წმინდა მთავარ ანგელოზთა ეკლესიას მშობლები განსაკუთრებულად

ამყამად ეს სიწმინდეები სხვადასხვა მუზეუმებშია დაცული.

უნდა აღინიშნოს, რომ სობის ტაძრის იატაკის ქვევით არსებული სივრცეების არქეოლოგიურმა შესწავლამ დაადასტურა ნაგებობის ქვევით უფრო ძველი ნატაძრალის ნაშთების არსებობა. სობის მონასტერი შუა საუკუნეებში აფხაზეთის კათალიკოსების რეზიდენციად და საძვალედაც ითვლებოდა. შემორჩენილია მე-13 საუკუნეების ფრესკები. მონასტერს ეკუთვნოდა მამულები ბიაში, ნოჯიხევიში, სობში, ხორგაში, სახარბედლოში, ხოლო აქ მოსახლე 470 კომლი აზნაური და გლეხი სობის თეთროსანი ღვთისმშობლის ხატის ყმებად ითვლებოდა.

მე-19 საუკუნის შუა ხანებში ყირიმის ომის დროს მონასტერს საფრთხე დამუქრებია, რადგან აქ თურქეთის ჯარი დაბანაკებულია, სიწმინდეები მანამდე გაუხიზნავთ, ხოლო ნაგებობების მცველად ბერი უორდანი დარჩენილა. შემდგომ ნოჯიხევის მიდამოებში აჯანყებულ უტუ მიქავას რაზმელები მდგარა.

ნოჯიხევი

გერგაია, ცქირია, ქაქუთია, ჩიტაია, სიჭინავა, ჯორჯიკია, სასანია, ალექსანდრია, იოსავა, გვასალია, კიტია, სიხარულია...

სოფელი შეფენილია ბიის მთების სამხრეთ კალთებზე, აქ კარგად ხარობს დაფნა, ციტრუსები, ტუნგო...მოსახლეობა მისდევს მესაქონლეობას და მემარცვლეობას. ფუნქციონირებს დაფნის დამამზადებელი საამქროები. სოფელში მოქმედებს საჯარო და საბაზო სკოლები, 2 საბავშვო ბაღი. პროფესიული გადამზადების ცენტრი.

შესთხოვდნენ ოჯახის უფროსი ვაჟიშვილების მფარველობას, მისივე მოგონებით ნოჯიხევი სუთშაბათი დღეს მიცვალებულს არ მარხავდნენ. ამ ეკლესიაში 1892 წელს ჯვარი დაუწერიათ იონა მეუნარგიას და ნინო ჯორჯიკიას.



კუთხე ნოჯიხევის სასაფლაოდან ჩ რ დ ი ლ ო - დ ა ს ა ვ ე ლ ე თ ი თ , დაახლოებით 2 კილომეტრის დაშორებით შუა საუკუნეების ციხესიმაგრის ნაშთები მდებარეობს. იგი ნაგებია მოზრდილი რიყის ქვებით, ციხე გზასაყართან მდებარეობდა, ქუთაისიდან მომავალი გზა აქ იყოფოდა, ერთი აფხაზეთისაკენ მიდიოდა, ხოლო მეორე ფოთი-ყუღევის მიმართულებით. ციხესთან ყოფილა ადგილი, რომელსაც „ნაოხვა-მუს“ ეძახდნენ, „ოხვა“ სალოცავს ნიშნავს. ხშირ შემთხვევაში „ნაოხვა-მუს“ ძველ კოლხურ სამარხს წარმოადგენს, იგი ფოთის კოლხური მუზეუმის დამარსებლის ბესარიონ გოგოლიშვილის მიერ შედგენილ კოლხეთის არქეოლოგიურ სექტატურ რუკაზეა აღნიშნული. სამწუხაროდ, ეს ძველი წაშლილია და მისი პოვნა ჭირს, რადგან მე-20 საუკუნის 70-იან წლებში მიმდინარეობდა ციხის მიმდებარე ტერიტორიების დატერასება, რასაც წინ უძღოდა ბულდოზერის ტიპის ტრაქტორებით ტერიტორიის დამუშავება, ალბათ სწორედ ამან განაპირობა აღნიშნული ძეგლის განადგურება. ციხის ირგვლივ 500 მ. რადიუსში ვიზუალურად შეინიშნება ჩვენს ერაზმე პირველი ათასწლეულის ძველკოლხური და ბერძნული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ბათქაშები.

ნოჯიხევის ტერიტორიაზე მდებარეობს სახელგანთქმული სობის ყოველად წმინდა ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი, რომელსაც თანამედროვე სახე მე-13 მე-14 საუკუნეების მიჯნისას მიუღია.

არქეოლოგიური გათხრებმა გამოავლინა ძვ.წ. მე-8 მე-7 საუკუნის ნამოსახლარები, ადრეული ხანის ნაქლესიარი, ხოლო ტაძრის შიგნით აღმოჩნდა ძველ დადიანთა საოჯახო საძვალე, რომელშიც უნდა იყოს დასვენებული ეროვნული გმირისა და წმინდანის ცოტნე დადიანის ძვლები, არქეოლოგიურ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი რევაზ პაპუაშვილი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სობის მონასტერში დასვენებული იყო უდიდესი სიწმინდეები: **ღვთის მშობლის კვართი, წმინდა გიორგის ბარძაყის ნაწილი, იონე ნათლისმცემლის ნაწილი, მაცხოვრის წვერის ღერები, დრუბელი, რომლითაც ჯვარზე გაკრულ მაცხოვრს ამარი მიაწოდეს, წმინდა მარინეს მკლავი, წმინდა კვირიკეს ხელის მტევანი, წმინდა ივლიტეს მკლავი, წმინდა თევდორეს ტანის ნაწილი, დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარი, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, თამარ მეფის დედის ბურღუხან დედოფლის ულ მრავალნაწილიანი ხატი, რომლის შუაში ჩასმული იყო ძელცხოვლის ჯვარი, ხოფის თეთროსანი ღვთისმშობლის ხატი, წმინდა გიორგის ხატი, შოთა რუსთაველის ოჯახიდან და სხვა სიწმინდეები.**

1905 წელს სობი და ნოჯიხევი აღიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციისაგან გაჭარ პავლე ცქირიას გადაურჩენია, მას ფულითა და საჩუქრებით მოუქრთამავს რუსი გენერალი.

ნოჯიხევიში სკოლა 1875 წელს დაუარსებიათ. 1900 წელს სობის მონასტერთან არქიმანდრიტ სიმონ აფაქიძეს სამრევლო სკოლა გაუხსნია, ხოლო ნოჯიხევის წმინდა მთავარანგელოზების ეკლესიასთან სპირიდონ ჯორჯიკიასა და ვერა სიჭინავას 1901 წელს საქალებო სასწავლებელი გაუხსნიათ.

ნოჯიხეველებს აქტიური მონაწილეობა მიუღიათ 1924 წლის აჯანყებაში, მისი ერთერთი აქტიური მონაწილე 23 წლის კლიმენტი სასანია ბოლშევიკებმა სასამართლოს გარეშე დახვრიტეს.

ნოჯიხეველი იყო ლაზარე შურდაია, რომელსაც ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაუმთავრებია, იგი 1918 წელს თბილისის ახალგაზსნილ უნივერსიტეტში პროფესორად დიუსწვევიათ, შემდგომ საქართველოს ადვოკატთა კავშირის თავმჯდომარე ყოფილა, სობის რკინიგზის სადგური მისი თაოსნობითა და ინიციატივით გახსნილა.

ბოზიტა ჩიტაია.

ლოზ სასანია, მაქსიმე სიჭინავა,

სულთანა



ცნობილი ექიმი და მეცნიერი მაია ღვებუაძე 1954 წლის 10 ნოემბერს დაიბადა ქალაქ ხობში, ექიმების ქეთო ნასარაიას და ამბროზი ღვებუაძის ოჯახში.

სწავლობდა ხობის №2 საშუალო სკოლაში. 1977 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

ქალბატონი მაია 1978–1990 წწ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (შემდგომში უნივერსიტეტი თსსუ) ადამიანის ნორმალური ანატომიის კათედრის (შემდგომში დეპარტამენტი) ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, 2006 წლიდან კი ასოცირებული პროფესორი იყო.

მისი სამეცნიერო კვლევის ინტერესების სფერო მოიცავდა სისხლძარღვების, თირკმლის, ღვიძლის, ელენთის, საკვერცხის, საშვილოსნოს სქესობრივი და ასაკობრივი თავისებურებების მორფო ფუნქციურ და კლინიკურ ასპექტებს ნორმაში და პათოლოგიისას. ავტორია 167 სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომის, რომელთაგან 160 არის ნაბეჭდი-მათგან 123 სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ.

მონაწილეობა აქვს მიღებული 100-ზე მეტ საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიურ ფორუმში, რომელთა დიდი უმრავლესობა საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩატარდა, სადაც მონაწილეობდა, როგორც საორგანიზაციო კომიტეტის და პრეზიდენტის წევრი, სხდომების თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე, მრავალი მაგიდის თანათავმჯდომარე, ზეპირი მომხსენებელი პლენარულ და სექციურ სხდომებზე.

იგი არის მონოგრაფიების, დსთ-ის სხვადასხვა ქვეყნებიდან გამოგზავნილი მრავალი სადისერტაციო ნაშრომის ავტორ-ფერანტ რეცენზენტი, დისერტაციების ოპონენტი; მის მიერ შექმნილია 3 სასწავლო ვიდეოფილმი: რომლებშიც ავტორი პირადად მის მიერ დამზადებულ ნერვ-სისხლძარღვოვან და კუნთოვან გვამებზე ახდენდა ანატომიური სტრუქტურების დემონსტრირებას; ატარებდა ლექციურ და პრაქტიკულ მეცადინეობებს ინგლისურენოვან სექტორზე (2011 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტში

მაია ღვებუაძე

ჩააბარა გამოცდა და აიღო საერთაშორისო სერტიფიკატი). მისი ბიოგრაფია შეტანილია გამოცემებში: „ვინ ვინ არის მსოფლიოში“ (2009), „ენციკლოპედია-საქართველო“ (2012), „ცნობილი მეცნიერები რუსეთში“ (2016). საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1985 წელს. სადოქტორო დისერტაცია კი 1993 წელს.

პროფესორი მაია ღვებუაძე მოლდავეთის ნიკოლაე ტესტემიტანუს სახელობის სახელმწიფო სამედიცინო და ფარმაციის უნივერსიტეტში ჩატარებულ ცნობილი მოლდაველი ანატომის, პროფესორ ბ.ვ. პერლინის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა, როგორც ორგანიზაციის, ასოციაციის ან ჯგუფის წევრი.

იგი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს, წევრი. ინტეგრაციული ანთროპოლოგიის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი.

მორფოლოგია საერთაშორისო ასოციაციის (ყოფილი საბჭოთა კავშირის ანატომთა, პისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საზოგადოების სამართალ-მემკვიდრე) საკოორდინაციო საბჭო, წევრი (2000).

უურნალ „Morphology“ (Morphologia-Archives of anatomy, histology and embryology-founded in 1916, რუსეთი) სარედაქციო საბჭო, წევრი (2002)

უურნალ „Archiv EuroMedica“ (გერმანია) სარედაქციო კოლეგია, წევრი (2015)

უურნალ „Biomedical and Biosocial Anthropology“ (უკრაინა) სარედაქციო საბჭო, წევრი (2003) რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემია, წევრ-კორესპონდენტი (2015).

რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის სამეცნიერო უურნალების ექსპერტთა-საბჭო, წევრი (2015)

მიღებული ჰქონდა ჯილდოები, პრემიები და პრიზები.

2016 „შრომით და ცოდნით“ ორდენი, მეცნიერებისა და განათლებისთვის გაწეული ღვაწლისთვის (რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემია).

2016–„პირველი თანასწორობის შორის“ ორდენი, მეცნიერებისა და განათლებისთვის გაწეული ღვაწლისთვის (რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემია).

2016–„ეკატერინე დიდის მედალი“, მეცნიერებისა და განათლებისთვის გაწეული ღვაწლისთვის (რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემია).

2015–მეცნიერებისა და განათლების დამსახურებული მოღვაწე (რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემია)

2015–რუსეთის საბუნებისმეტ-

ყველ აკადემიის ვ. ი. ვერნადსკის სახელობის მედალი 2013–ევროპის სამეცნიერო საზოგადოება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ევროპული აკადემია და რაინდების საერთაშორისო ასოციაციის საპატიო მეცნიერი (ქ. ჰანოვერი)

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ევროპული აკადემიის რობერტ კოხის სახელობის მედალი (ქ. ჰანოვერი, გერმანია).

ევროპული აკადემიის საპატიო მეცნიერი (ქ. რომი).

მაია ღვებუაძე იყო მრავალი სამეცნიერო შრომის და წიგნის ავტორი.

ქალბატონი მაია ღვებუაძე 2020 წლის 22 დეკემბერს, 66 წლის ასაკში გარდაიცვალა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი, პროფესორი **ლევან რატიანი** გამოჩენილი მეცნიერის გარდაცვალების გამო გულისტკივილით წერდა:

„ასეა და ასე იქნება, სიკვდილმა გამიარჯვა სიცოცხლეზე, ეს ბუნების კანონია თითქოს, მაგრამ შეუგუებელი, მოიხედავ და ოცი წელი გასულა, რაც ერთმანეთი გაგვიცვნიდა და დღეს კი ვემშვიდობები, ვემშვიდობები დიდი ტკივილით, ჩემს საყვარელ პროფესორს მაია ღვებუაძეს, პროფესორს, რომელმაც სიცოცხლეში ბრძოლა და თავმდაბლობის სიმბოზი მასწავლა, მასწავლა როგორ უნდა მიადწიო ცოდნით წარმატებას.

ბევრი გვქონდა საკეთებელი, მაგრამ წუთისოფელმა ამ მიწიერ ცხოვრებაში დაგვაცვილა, დაგვაცვილა დროებით, რწმენით იმისა, რომ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს... მშვიდობით პროფესორო... პირობას გაძღვეთ ყველა, თქვენს დაწვებულ საქმეს ბოლომდე მივიყვან!

სხვისთვის უჩინარი იყო, ჩემს ცხოვრებაში ადამიანი, რომელიც მიქმნიდა წარმატების გარემოს. მისი დირებული სიტყვა დილით იყო „შვილო მომისმინე“... და უსმენდი გაჩუმებული და გულისყურით...

შენი წარმატება მახარებს და მაცოცხლებსო, ასე მეუბნებოდა...

მადლობა ჩემო პროფესორო ყველა იმ ქმედებისთვის, რაც ჩემთვის გააკეთეთ. მე კი შეუძლებელს გავაკეთებ დირსეულად, რომ დავასრულო ცხოვრება, როგორც ექიმმა. მშვიდობით“.

მაია ღვებუაძის ღვაწლს არასოდეს დაივიწყებს ქართული სამედიცინო საზოგადოება, მშობლიური ხობი და სრულიად საქართველო.

ბიორგი (ხუტა) აბურჯანია



მდინარე ხობისწყალს ტყუპ და-ძმის დარად ერთგულად ადევნებულ ულამაზეს სოფელ გურიფულში არაერთი ღირსსახსოვარი და სანაქებო ადამიანი დაბადებულა და ამ მადლიანი მიწიდან ფესვგადგმულს მრავალგზის უსახელებია თავისი მშობლიური ალაგი და ქვეყანა.

მათ რიგებს მეწინავეობს თვალსაჩინო მეცნიერი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და უბრალოდ-ლამაზი კაცი გიორგი (ხუტა) აბურჯანია, რომელიც ხობის რაიონის სოფელ მეთრე გურიფულში, ზნემაღალი და მშრომელი კოლხების დურუ და ნათელა აბურჯანიების ოჯახში დაიბადა.

ჯაფასთან და გაღვითურებულ პატიოსნებასთან ერთად, ეს მრავალშვილიანი ოჯახი იმითაც გახლდათ გამორჩეული, რომ ქალბატონმა ნათელამ და ბატონმა დურუმ შვილებს ყველაფერი მოუნაგრეს საიმისოდ, რომ შესაფერისი უმაღლესი განათლება მიეღოთ და ემსახურათ თავიანთი ქვეყნისა და ხალხისთვის. ხუტა, ხუნტული, იგივე გიორგი იმთავითვე გამორჩეული ახალგაზრდა გახლდათ და ტექნიკური საგნებისადმი განსაკუთრებული ნიჭის გამო მშობლებს მე-8 კლასიდან სწავლის გასაგრძელებლად დედაქალაქში, კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლაში შეუყვანიათ, საიდანაც დაწვებულა მისი დამოუკიდებელი სვლა სამეცნიერო მწვერვალებისკენ.

1968 წელს ჩაირიცხა ივჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1973 წელს და იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მა-

თემატიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა სხვადასხვა თანამდებობებზე...

1974 წელს ჩაირიცხა ხარკოვის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში ასპირანტურაზე. 1978 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1990 წელს სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი-სპეციალობით „თეორიული და მათემატიკური ფიზიკა“.

მრავალი სამეცნიერო ნაშრომებისა და მონოგრაფიების ავტორს, მასწავლებელსა და პროფესორს, მკვლევარსა და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ მეცნიერს უკვე გაკეთებული საქმეების წილ კიდევ უამრავი გეგმები ჰქონდა, მაგრამ 2012 წლის 20 სექტემბერს იტალიის ქალაქ კოზენცაში, კალაბრიის უნივერსიტეტში, ევროკომისიის მე-7 ჩარჩო-პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო მივლინებისას მოულოდნელად გარდაიცვალა ეს დიდი ადამიანი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი აბურჯანია.

წავიდა და თან წაიღო მოუშუშებელი ტკივილი სვევამწარებული მშობლებისა, მის საზოგადოებრივ და სამეცნიერო ცხოვრებას შეწირული, ასევე ფიზიკოსი მეუღლის, ქალბატონ ლეილა ლაშხია-აბურჯანიასი, ორი დიდებული ვაჟისა, დამძების, შვილიშვილებისა და კიდევ უამრავი ადამიანისა.

ნათელი დაადგეს მის ხსოვნას, ადამიანისას, რომელმაც უამრავ კეთილ საქმეებთან ერთად, ჩაუქრობელი სანთელი აანთო ჩვენს „ალმა-მატერში“, დედაუნივერსიტეტში და მრავალი ახალგაზრდა მეცნიერისა თუ უბრალო ადამიანისთვის დარჩა სიმბოლოდ-განსწავლული, ზნემაღალი, ღირსეული მოქალაქისა და მოღვაწისა.

12 თებერვალი მისი ამქვეყნად მოვლენის დღეა და შევსოხვით უფალს-ჰყავდეს-„ადგილსა მწვანელოვანსა და სპეტაკსა ეგზომ...“


ჩვენ კი სიყვარულით ვეტყვით დიდ დედას, ქალბატონ ნათელას: აფერუმ თქვენს ქალობას, მზებუდიანო დედაო!...

გრიგორ იობაძესა და გურიფულელების სახელით: სიყვარულითა და მოწიწებით:

ლაშა და ნანა გვასალიანი.

სულთანა

იამზე თათარიშვილი, თემურ სალაყაია.



ამ წლის 17 თებერვალს ტკივილით და სინანულით მიიღია... უამრავი თვალცრემლიანი ადამიანის მოგონებამ კიდევ ერთხელ დაგვაახლოვა თემურ სალაყაიას პიროვნულ თვისებებს, გაუზუნარ სიკეთეს, კაცობრივობას, ჭირსა და ღმერთის თანადგომის უბრალოებასა და სილამაზეს.

სრულიად ახალგაზრდა გაიცნო იგი ხობის (და არამარტო) საზოგადოებამ მისი პიროვნული თვისებების გამო შეიყვარა ისე, რომ შემდეგ თაობიდან თაობას გადასცა. რაც არ უნდა დაუჯერებელი იყოს, მისი გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგაც არ განელებულა ის სიყვარული და პატივისცემა, რაც მის სახელთან იყო დაკავშირებული.

სახელი და დიდება კი არასოდეს აკლდა, თუმცა ლაღი ახალგაზრდობა არ ჰქონია, მისი მომავლის ბედნიერების ქუდი თავად გამოკეცა, ცხოვრების მეგზურად კი დიდებული, გამორჩეული ოჯახის ნათელა და ალიოშა თათარიშვილების უფროსი ქალიშვილი, იამზე თათარიშვილი აირჩია... საქმისადმი ერთგულების გამო სამსახურებრივი კარიერაც წინებულად წარიმართა, რაიონის სოფლის მეურნეობის დიდი კვალი დაატოვა სხვადასხვა ხელმძღვანელ სამუშაოებზე ყოფნით. ბოლოს კი რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე იყო...

სრულიად ახალგაზრდა, 55 წლის, სიმპათიური, ნადრეკად ჭაღარა, მინდობილი საქმის, ხალხის და მეგობრების ერთგული ადამიანი

ნის ცხოვრების ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა, უკურნებელმა სენმა იძულებული გახადა სიცოცხლის კარი ადრევე მიეზურა...

მისი ერთადერთი ქალიშვილი თეა, სიძე ბესო თოდუა და შვილიშვილი ქალბატონ იამზე, მის სათაყვანებელ დებს და ძმებივით შეზრდილ ბიძაშვილებს დაუტოვა და გაეცალა წუთისოფელს. სიცოცხლის ბოლო წუთამდე იმედიანი და სიცოცხლის რწმენით სავსე წავიდა. მის მიერ დათესილი სიკეთე უფალმა სიკეთედ დაუბრუნა მის ოჯახს. გამრავლდა, გაიზარა... რომ ეცოცლა ოთხი უნიჭიერესი შვილიშვილი ნამდვილად იამაყებდა.

როცა ერთგულმა მეუღლემ მისი „დანაბარები“ შეასრულა—შვილიშვილები დააფრთიანა, მათ სასახლოებად აღზრდაში ხელი მოუშარტა შვილს და სიძეს, თავისთან უხმო...

იამზე თათარიშვილის გარდაცვალების დიდმა წუხილმა კარდაკარ დაუარა მის ახლობლებს, ფართო საზოგადოებას და მიუხედავად პანდემიისა, უამრავმა ადამიანმა გააცილა უკანასკნელ გზაზე. 20 წლის შემდეგ გაათხო მათი საფლავი მარადიული სიყვარულის სიბოძე...

17 თებერვალს თემურ სალაყაია 73 წლის გახდებოდა...

იამზეს კი იმიერში 22 მარტს 70 წლის იუბილეს მიულოცავენ დაბადების დღეს მისი ოჯახის წევრები და ახლობლები...

ნათელი დაადგეს მათ საფლავებს. მერი ლავილიაძე.

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები მწუხარებაში თანაუგრძობენ საკრებულოს წევრებს დავით ბერაიას დედის **ლარისა ბოსუა-ბერაიას** და მზია ლემონჯარიას მამის **ანზორ ლემონჯარიას** გარდაცვალების გამო.



გაზეთი „სობის მოამბე“ თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძობენ გაზეთის ყოფილ რედაქტორს მანანა შულაიას ოჯახს მის **ლევან (მურთაზ) შულაიას** გარდაცვალების გამო.

გაზეთი „სობის მოამბე“ თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძობენ ყოფილ თანამშრომელს ტიტვიკო და ნანი ნაჭყებების ოჯახს შვილის. **დათო ნაჭყებია**ს გარდაცვალების გამო.

პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველოს“ ხობის ორგანიზაციის წევრები სამხმარს უცხადებენ ნანი და ტიტვიკო ნაჭყებებს შვილის **დათოს** გარდაცვალების გამო.

ღირსეული მამულიშვილი ევრემ ბობოხია

90-იანი წლების მიწურულს გავიცანი ბატონი ევემ ბობოხია. თხემით ტერფამდე ქართველი, ნამდვილი ერისკაცი, მაშინ, როცა ის შემოუერთდა ხობის „მრგვალ მაგიდას“.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, პოლიტიკური ეკონომიის სპეციალისტი, არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ხშირად იმეორებდა: „მე ხობში ვავიარე დიდი პოლიტიკური სკოლა“. ის ამით გამოხატავდა სიბრძნელსა და სიყვარულსა და პატივისცემას.

ერთი რამ უნდა აღინიშნოს, ის მაშინ შემოგვიერთდა, როდესაც ძალზე გვაკლდა უფროსი თაობის აქტიური მხარდაჭერა. ეს მაშინ, როცა სრულიად უსამართლოდ იდეენობდნენ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მხარდაჭერები. ამ დროს ეს ზნეკეთილი ადამიანი ნამდვილად იყო ჩვენთვის მისაბაძი პოლიტიკური მოძღვარი. ის უზომოდ განიცდიდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ტრაგედიას, აფხაზეთის დაკარგვას. ახალიზებდა იმხანად მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ასკვნიდა; „დაიხ! თბილისის დაცემამ გამოიწვია სოხუმის დაცემა“, გულისხმობდა ყოველ მიუღებელ სახელმწიფო გადატრიალებას.

მართლაც ეროვნული ხელისუფლების დამამხობლებს ვერც კი წარმოედგინათ მაშინ, რას ჩადიდონ, რომ „თბილისურ ამბებს, სათავისოდ გამოიყენებდნენ აფხაზი სეპარატისტები. საქართველოს არაკონსტიტუციური მოძალადე რეჟიმის მსგავსად აფხაზეთიც გავიდოდნენ კონსტიტუციური სივრცლიდან. ხელყოფდნენ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. საუბედუროდ, ასეც მოხდა. სახელმწიფო გადატრიალებამ საუკეთესო მაგალითი მისცა აფხაზებს. ყოველივე „დიდებულად“ გამოიყენა „დიდმა მეზობელმა“. ჩვენს წიაღში ჰპოვა „საუკუნო დასაყრდენი“.

ყოველივე კარგად უწყობდა აფხაზეთიდან დევნილმა ერისკაცმა, მას არასოდეს დაუკარგავს მომავლის იმედი, ის იყო ჭეშმარიტად მეტროლი ინტელიგენტი, რომელიც დღემდე ცხოვრობდა ქვეყნის სატკივართ, განიცდიდა, წუხდა და ბორბავდა.

იმავე წლებში არაერთხელ გვქონდა დებატები „კამათისმოყვარე დემაგოგებთან“, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალებას დიდის ამბით მიესალმებოდნენ.

როცა მოწინააღმდეგეებს ამგვარი არგუმენტი შემოელოდათ იტყოდნენ: „პოლიტიკა მაინც ბინძური საქმეაო“.

კრემლის ეს ნარატივი იმხანად პროპაგანდის ღონეზე იქნა აყვანილი ანუ პოლიტიკურ ბრძოლაში არ უნდა ჩართულიყვნენ პატიოსანი ადამიანები, ერისა და ქვეყნის პატრიოტები.

ბატონ ევრემ ბობოხიას, როგორც ფარტაზისა და აიეტის შთამომავალს, რიტორიკის სიმალლიდან შეეძლო ჭეშმარიტებისა და დემაგოგიის დანახვა. გრძობდა და განჭვრეტდა ქვეყნისთვის საზიანო ქვედა დინებებს, ორიენტირებს, საგარეო

დე რეჟიმის მსგავსად აფხაზეთიც გავიდოდნენ კონსტიტუციური სივრცლიდან. ხელყოფდნენ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. საუბედუროდ, ასეც მოხდა. სახელმწიფო გადატრიალებამ საუკეთესო მაგალითი მისცა აფხაზებს. ყოველივე „დიდებულად“ გამოიყენა „დიდმა მეზობელმა“. ჩვენს წიაღში ჰპოვა „საუკუნო დასაყრდენი“.

ყოველივე კარგად უწყობდა აფხაზეთიდან დევნილმა ერისკაცმა, მას არასოდეს დაუკარგავს მომავლის იმედი, ის იყო ჭეშმარიტად მეტროლი ინტელიგენტი, რომელიც დღემდე ცხოვრობდა ქვეყნის სატკივართ, განიცდიდა, წუხდა და ბორბავდა.

იმავე წლებში არაერთხელ გვქონდა დებატები „კამათისმოყვარე დემაგოგებთან“, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალებას დიდის ამბით მიესალმებოდნენ.

როცა მოწინააღმდეგეებს ამგვარი არგუმენტი შემოელოდათ იტყოდნენ: „პოლიტიკა მაინც ბინძური საქმეაო“.

კრემლის ეს ნარატივი იმხანად პროპაგანდის ღონეზე იქნა აყვანილი ანუ პოლიტიკურ ბრძოლაში არ უნდა ჩართულიყვნენ პატიოსანი ადამიანები, ერისა და ქვეყნის პატრიოტები.

ბატონ ევრემ ბობოხიას, როგორც ფარტაზისა და აიეტის შთამომავალს, რიტორიკის სიმალლიდან შეეძლო ჭეშმარიტებისა და დემაგოგიის დანახვა. გრძობდა და განჭვრეტდა ქვეყნისთვის საზიანო ქვედა დინებებს, ორიენტირებს, საგარეო



ვექტორებს.

და ბოლოს, მინდა მოვიგონო ერთი რამ, მან ჩვენთან ხუმრობით გაიხსენა აფხაზეთში გაერცელებული წყევლის მაგვარი გამოთქმა, ბავშვობის ეპიზოდი. თურმე აფხაზეთში ცელქ ბავშვებს შესძახებდნენ „პაპანწყვილს ქუდგოზუნია“ (პაპანწყვილს მენახეო), მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი სად იყო პაპანწყვილი. გავიდა წლები და აქ ხეთაში ტბა „პაპანწყვილთან“ ახლოს როგორც დევნილს მომიწია ცხოვრებამო. საოცარი ის არის რომ აქაურებსაც ქონიათ ასეთი გამოთქმა „წებელდას ქომიძირუდაკა“ (წებელდასი მენახეო) წებელდა აფხაზეთშია.

მას დარდად და წუხილად გაყვა ყველა ჩვენთაგანის სატკივარი... ჩვენი თაობის საფიქრალი.

დაიხ! ის მხოლოდ ქვეყნის სიყვარულით ცოცხლობდა. აფხაზთა და ქართველთა ერთობაზე მოფიქრალაო! უანგარო მოძღვარო და მეგობარო, აგსრულიებოდეს ოცნება, გაგმთლიანებოდეს სამშობლო-შენი წებელდა და შენი პაპანწყვილი!

ხარობდე ზეციურ ნათელში! **მეგობრების სახელით ტრისტან ვალაშარი.**



დათო ნაჭყებია

ასე ახალგაზრდამ, კარგმა და შრომისმოყვარე ბიჭმა თავი როგორ გაიმეტე დათო, რამ გადაგაწვევტინა ეს საშინელება. დედ-მამა, ძმა როგორ მიატოვე. წახვედი და დატოვე დიდი მწუხარება და ტკივილი, სევდა და ცრემლები... რა ქნან შენმა ავადმყოფმა მშობლებმა, ძმამ, შენ ხომ მათი დიდი იმედი და სიყვარული იყავი.

მუშაობდა და ვმეგობრობო. ძალიან მენანები და გული მტკივა... თანაუგრძობო ნანის და ტიტვიკოს უდიდეს მწუხარებას. შენმა დაკარგვამ ხომ სამუდამოდ გაანადგურა და დააძაბუნა ისინი და დარჩი მათთვის გაუსაძლის ტკივილად, დარდად, მწუხარებად...

ერთი თვეც არ არის, რომ გნახე. დამინახე და გამოიქეცი, გადამეხვიე, მომიკითხე. ძალიან გამიხარდა შენი დანახვა. მომაგონდა თქვენი, ძმების ყოველდღიური ნახვა იმ ბაღში, სადაც დედათქვენი ნანი მუშაობდა მასწავლებლად. ის ჩემი შვილის საყვარელი მასწავლებელი გახლდა.

შენზე ყოველთვის კარგი მესმოდა. მიხაროდა, რომ ოჯახს ყოველმხრივ ეხმარებოდი, უძლებდი ისედაც გაუსაძლის ყოფას. მაგრამ ასეთი ტკივილი და დარდი არ უნდა „გესახსოვრა“ მშობლებისთვის.

ტიტიკო ერთ დროს ჩვენთან, რედაქციაში

გწუხვარ, მენანები! მენანება შენი ახალგაზრდობა. მართალია ბევრი სიმძიმე დაგაწვა, თუმცა უძლებდი... ბოლოს?..

დათო, მიწის სურნელს შეგუებოდე, თებერვლის წვიმას შენი საფლავი დაენამოს. ზაფხულის მზის სხივებს გაეთბოს და გაენათებინოს შენი სამარე...

დმერთი მოწყალეა და მიმტკეპელი... განისვენე მშვიდად!

ნანი კილასონია.

სობის მუნიციპალიტეტის თელო სახოკიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალნენ პირველი მაისის და ქვემო ქვალონის სასოფლო ბიბლიოთეკების ყოფილი გამგეები **ციცო კვიციანი-ლოლა** და **ივოლდა ალანი** და თანაუგრძობენ გარდაცვლილთა ოჯახებს.

ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით თხილი ცნობილია, როგორც გრძელ-ული ხე, რომლის ნაყოფიც ანადგურებს ავსულებსა და ეშმაკებს, ალბათ ამიტომ წარმოიშვა ტრადიცია ძველ წარმართულ სამეგრელოში ახალი წლის შეხვედრა თხილის ტოტისგან დამზადებული ჩინილაკებით, მის თავზე გამოსახული ჯვართით, წვერების ოთხ მხარეზე წამოცმული ნაყოფიერების სიმბოლო-ვაშლები სიცოცხლის მარადისობაზე მიგვითითებენ.

საქართველოში გავრცელებული ეს მცენარე ცნობილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დაახლოებით მე-8-7 საუკუნეებში. ეს ემთხვევა იმ პერიოდს, როცა სტამბოლიდან ტრაპიზონამდე შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მოსახლე მაკრონთა (გრძელთავიანთა) ტომებმა პელაგებთან (ლაზებთან) ერთად მომთაბარე აგრესორი ტომებისაგან შევიწროებულებმა გადმონაცვლეს ჩრდილოეთისაკენ. ჩემი აზრით, მათმა ასიმილიაციამ (შერევა) ადგილობრივ მოსახლეობასთან უმტკივნეულოდ ჩაიარა, ვინაიდან

კოლხეთის ტენიანი სუბტროპიკული ტყეების დიდი ნაწილი ჭაობით იყო დაფარული და საურმე, საქონლის გადსარეკ გზებზე, თხილის, თხილის და აკაციის ხეების ტოტებისგან დამზადებული სქელი ჩელტების ჩალაგება ხდებოდა. თხილის ტოტების განსაკუთრებული მოქნილობისა და დრეკადობის გამო მისგან მზადდებოდა და მზადდება შეუცვლელი-გოდრები, გიდელები, სათლები, კალათები და სხვა.

თხილის ტოტების სისწორისა და სიგრძის გამო უპირატესობა ენიჭებოდა ლამაზად და ფაქიზად გაკეთებულ ღობეს, განთქმული იყო დაწნული მეგრული ფაცხები, საუკეთესო, ლამაზი და პრაქტიკული იყო თხილის ტოტებისგან დამზადებული სიმინდის ტაროების და ხილის საშრობი „მაღაზები, „ოფურ-

გი სანაშენედ გამოუსადეგარია, ვინაიდან იგი იმეორებს მისი წინაპრის-ველური თხილის თვისებებს, ნაყოფი წვრილი და კერკეტია, ამოთხრილი ნერგის ფესვებს კავშირი უნდა ქონდეს გაშენებული თხილის ფესვებთან. თუ ნერგი გამხმარია, მიზეზის დასადგენად ამოთხარეთ იგი, თუ ფესვი მშრალი და გამხმარია-ხმობა უწყლობის შედეგია. ასეთ დროს ეცადეთ თხილის ირგვლივ მიწას მისცეთ ჯამის ფორმა, თუ ფერდობის დაქანება საგრძნობია დაატერასეთ იგი. თუ ამოთხრილი ფესვი ტენიანი და დამპალია, ეს ჭარბი ტენითაა გამოწვეული. მიზეზი თუ ზედმეტი მორწყვის შედეგი არაა, ე.ი. გრუნტის წყლის დონე მაღალია და საჭიროა უფრო ღრმა სადრენაჟე არხის გაყვანა.

საუკეთესოა დიდი მანქანის საბურავი-

შტამბს ადრე გაზაფხულზე მანამ, სანამ ნიადაგში მოზამთრე მავნე მწერები ხეზე ამოსვლას მოასწრებდნენ.

თხილის მავნებლებისა და სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ წამლობისას გაითვალისწინეთ-მცენარე უნდა შეწამლოთ მხოლოდ ზუსტი დოზით, ნაკლები დოზით შეწამლვას ჯობია საერთოდ არ შეწამლოთ, ვინაიდან წამლობას გადარჩენილ პარაზიტებს ამ წამლის მიმართ იმუნიტეტი უმუშავდებათ. ე.ი. ფაქტიურად აცრას უტარებთ, ამასთან დაუშვებელია ერთიდაიგივე წამლის ზედიზედ ხმარება.

ჩვენი მოსახლეობის ნაწილი თხილის ერთჯერადად შეწამლვას საკმარისად მიიჩნევს, ეს გადაგირჩენთ თხილის მოსავლის მხოლოდ 10-20 პროცენტს. საჭიროა მისი მინიმუმ სამჯერ შეწამლვა, ძლიერ დასნებოვნების დროს კი ხუთჯერ, ან მეტ შემთხვევაში.

ნებისმიერი წამალი მეტნაკლებად გადადის ნაყოფზე, რაც ჯანმრთელობისთვის არც თუ ისე სასარგებლოა, ამიტომ ეცადეთ პარაზიტთა მექანიკური წესით მოსპობას. ყოველ გაველა-გამოვლაზე მოაშორეთ

ღარგეთ და გაახარეთ თხილი-ჯანმრთელობისთვის საჭირო კულტურა



ჩეები“ სიმინდის „ფურჩესა“ და „გუნგის“ შესახად, თხილის ტოტისგან „დაწნულ“ „ოფურჩეს“ ზევით სახურავად აღგამდენ თივის ზეინს ან ჩალის კონებს. თხილის ხისგან დამ-

ზადებული შეშა სათავადო შეშად მოიხსენიებოდა. მაღალი თბოუნარიანობის გამო თხილის ნაწიში ძვირად ფასობდა, საუკეთესოა იგი მწვადის შესაწვავად, ნაჭუჭი გამოიყენება სათბობად. ნორჩი ყლორტების ქერქს იყენებდნენ თოკის დასამზადებლად.

თხილი მდიდარია ცხიმებით-60-70%, ცილებით-15-16%, მიკრო და მაკროელემენტებით, ნაყოფის ზეთი ადვილი შესათვისებელია ადამიანის ორგანიზმის მიერ, ხელს უწყობს ტენინის ნორმალურ ფუნქციონირებას, აჯანსაღებს სისხლძარღვების სისტემას, აუმჯობესებს მეხსიერებას. არის საკონდიტო მრეწველობის საუკეთესო ნედლეული, მაღალი გემოვნებით გამოირჩევა ე.წ. „ქართული სნიკერსი“-ჩურჩხელა, პატარების საყვარელი საკნატუნა.

თხილი იზრდება 2-10 მეტრამდე, ცოცხლობს 60-80 წელი, კარგად ხარობს მჟავე, ნეიტრალურ და ტუტე ნიადაგებზე. არის წყლის და ტენის მომთხოვნი, იტანს სიმშრალეს.

თხილის ნერგების შერჩევისას გაითვალისწინეთ, თესლიდან ამოსული ნერ-

ვი-საბურავს ამოაჭერთ გვერდითა ნაწილები პროტექტორამდე ამოაბრუნეთ, წამოაცვით ნერგს და ამოავსეთ ნოყიერი ნიადაგით, თუ ეზოს წინა ფასადურ ნაწილშია ნერგი და გინდათ ლამაზი იყოს, საბურავი ზედა გვერდითა ნაწილში ამოჭერთ ხერხის კბილისებური და შეღებუთ ხილული ნაწილი, გარწმუნებთ ლამაზიც იქნება და დიდხანსაც გაძლებს.

თხილის საკვებად თუ ნაკელი არ გაქვთ, მცენარის ვეგეტაციის დასაწყისში მოაყარეთ ზრდასრულ ძირს 200-400 გრამი კომბინირებული სასუქი, სასურველია ჩათოხნოთ.

თხილის ნერგის გასხვლა 3 წლის შემდეგ შეიძლება, ის, რომ ქონდეს 3 აერაცია და კარგი განათება. გაითვალისწინეთ თხილის მოსავლის კლება იწყება 10-12 წლის შემდეგ, ამიტომ საჭიროა მისი განახლება-გაახალგაზრდაება.

თხილის სარეველების შეწამლვისას-ტოტალჰერბიციდები მოასხურეთ მხოლოდ სარევეებს, რათა თხილის ფოთლები არ დაზიანდეს. თხილის თანმდევი ძნელად მოსასპობი სარეველების-ეკალის, მაყვლის, ჭინჭრის, გვიმარის და სხვათა ფესვებიანად გასანადგურებლად აუცილებელია სარევეებს ქონდეთ ნორჩი ამონაყარები. ტოტალჰერბიციდის შესხურებამდე აუცილებელია მოაშორეთ თხილს ამონაყარები-მექანიკური წესით ან შეწამლეთ მხოლოდ-დამხოლოდ კონტაქტური პერბიციდით.

თხილს ნაყოფისოდენა ე.წ. „გვიგვილები“. აქ იზამთრებენ ტკიპები ძირითადად; ასევე მოაშორეთ ტოტების წვერის წამხმარი ადგილები 10 სმ. ქვევით, ეს ტოტების ნორჩ რბილობში ჩაბუდებული ხარაბუხას ნამოქმედარია, მოაშორეთ ნაცრისგან დაზიანებული ტოტები და ფოთლები, რომლებიც წარმოიშობა ჭარბტენიანი მცირე ჰაერაციის, მზის სხივების შეუღწველობის გამო ეს ყველაფერი იწვევს ფოთლების ჩახუტვას და დასნებოვნებას, თუ მცენარეს ამ დაავადებას არ მოაშორებთ, საბოლოოდ ეს გადადის ნაყოფზე და იწვევს მის ნაცრისფერ სიღამპლეს და ნაადრევ ცვენას.

ფაროსანას გამოჩენამდე თხილი ასე თუ ისე შეუწამლავად უმკლავდებოდა პარაზიტებს და საკმაო მოსავალსაც იძლეოდა, მაგრამ ფაროსანას წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, წინა წლებთან შედარებით, გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, რაც მოსახლეობისა და მთავრობის მიერ გატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგია.

დარწმუნებული ვარ, წლებანდელი წელი ფაროსანასთვის ბოლო იქნება. მის წინააღმდეგ ბრძოლა და წამლობა უნდა დაეწყოთ აპრილის თვეში. უნდა შეიწამლოს ხეხილი მინიმუმ სამჯერ.

ღარგეთ და გაახარეთ თხილი, რითაც თქვენ ჩამოთვლილ სიკეთეებთან ერთად ხელს შეუწყობთ თქვენი ეზო-გარემოს გაღამაზებას, ჰაერის სისუფთავესა და სიჯანსაღეს.

რევაზ ბერაია.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).

სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვიდავა, ნანი კილახონია, ნინო სიჭინავა, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრში.

ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
 ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
 დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
 გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
 გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.